



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011781544747321

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

116204

18 / მარტი / 2021 წ.

გადანყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომადგენლის მიერ და 81.10.03.301 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მონაცემების მოქმედების შეჩერების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 122985/17; თარიღი: 16.02.2021 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენელი პირი: არჩილი ბედიანაშვილის (პირადი ნომერი 12001095509) წარმომადგენელი ლია ღორეული (პირადი ნომერი 35001050009).

გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გამომცემი ტერიტორიული სამსახურის დასახელება: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის ქვემო ქართლის რეგიონული ოფისი (შემდგომში - „ქვემო ქართლის რეგიონული ოფისი“).

გასაჩივრებული გადაწყვეტილებები: რეგისტრაციის შესახებ № 882020219877-10 (30.04.2020 წ.) და №882020615322-03 (10.09.2020 წ.) გადაწყვეტილებები.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენელი პირის მოთხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გაუქმება, საერთო სარგებლობის გზის ნაწილში.

უძრავი ნივთის მისამართი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი.

რეგისტრაციის შესახებ №882020219877-10 (30.04.2020 წ.) გადაწყვეტილებით გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელი მარტყოფში მდებარე 600 კვ.მ უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი: 81.10.03.301) დარეგისტრირდა გიორგი იმედაშვილისა (პირადი ნომერი 12001019590) და მზია იმედაშვილის (პირადი ნომერი 12001073082) თანასაკუთრების უფლება, ამასთან გაკეთდა ჩანაწერი თანამესაკუთრების შესახებ. უფლების რეგისტრაციას საფუძვლად დაედო: მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების № 1495 აქტი (23.03.1995 წ.) და №15/33479 საარქივო ცნობა (24.04.2020 წ.).

რეგისტრაციის შესახებ №882020554611-03 (31.08.2020 წ.) გადაწყვეტილებით გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელი მარტყოფში მდებარე 600 კვ.მ უძრავ ნივთის (საკადასტრო კოდი: 81.10.03.301) რეგისტრირებულ მონაცემებში შეტანილ იქნა ცვლილება, კერძოდ „თანამესაკუთრების“ შესახებ ჩანაწერის ნაცვლად დარეგისტრირდა მერაბ იმედაშვილისა (პირადი ნომერი 12001006367) და ნატო იმედაშვილის (პირადი ნომერი 12001035588) თანასაკუთრების უფლება.

რეგისტრაციის შესახებ №882020615322-03 (10.09.2020 წ.) გადაწყვეტილებით გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელი მარტყოფში მდებარე 600 კვ.მ უძრავ ნივთის (საკადასტრო კოდი: 81.10.03.301) რეგისტრირებულ მონაცემებში შეტანილ იქნა ცვლილება, კერძოდ მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები შეიცვალა 1/3-ზე ნაკლებად.

№122985/17 (16.02.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ იგი პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის წარმომადგენლის მიერ დადგინდის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლის დანაწესით, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება ამ კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებანი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. ამ კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში. ამ კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლით დადგენილია დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, რომლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის უფლებამოსილებას, წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე, შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის მოთხოვნით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლით დადგენილი წესით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 6¹ პუნქტის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით დააბუსტოს, შეცვალოს, ძალადაკარგულად გამოაცხადოს ან ბათილად ცნოს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირებული მცდარი ან ურთიერთშეუსაბამო მონაცემები და უზრუნველყოს ამ მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ყველა დაინტერესებული პირის ჩართვა.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს აღნიშნული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე, 98-ე, 177-ე, 182-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად,

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მიღებულ იქნეს წარმოებაში არჩილი ბედიანაშვილის (პირადი ნომერი 12001095509) წარმომადგენლის ლია დორეულის (პირადი ნომერი 35001050009) №122985/17 (16.02.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივარი;
2. ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე შეჩერდეს 81.10.03.301 საკადასტრო კოდიტ რეგისტრირებული მონაცემების მოქმედება. რეგისტრირებული მონაცემების მოქმედების შეჩერების პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ამონაწერის მომზადება, ასევე უფლების (გარდა საგადასახადო გირავნობისა/იპოთეკისა), უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია;
3. №122985/17 (16.02.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ იქნენ: გიორგი იმედაშვილი (პირადი ნომერი 12001019590), მზია იმედაშვილი (პირადი ნომერი 12001073082), მერაბ იმედაშვილი (პირადი ნომერი 12001006367) და ნატო იმედაშვილი (პირადი ნომერი 12001035588).
4. ადმინისტრაციული საჩივარი და მასზე თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოს ქვემო ქართლის რეგიონული ოფისსა და ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ პირებს;
5. დაინტერესებულ მხარეებს განემართოს, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით;
6. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე - თბილისის იუსტიციის სახლსა (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2) და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მარტყოფის


საზოგადოებრივ ცენტრში და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.

7. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge.

8. გადანაცვები და დასაბუთება ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად 

დავით დევიძე